ფასი 10 მ.

ეშმაკის მათრახი

№ 14

1920 წ.

თებერვ. 22

ბ ა თ ო მ ი.

ავი ძაღლი არც თითონ სჭამს, არც სხვას აჭმევს.

ცხვარი. მაშ არა სჭამობ, რაღა?.. რა გეწყობა: ცხვარი—ცხვარია, მაგრამ თუ გაცხარდა—ცხარია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ფაუსტი“

(ზღაპარი)

„ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კავშირის კლუბი. ჩინებული სადილები, საუცხოვო ვახშმები, მრავალგვარი გასართობი...“

(საგაზეთო განცხადება).

იყო და არა იყო რა—უფრო არა იყო რა, ვინემ იყო—იყო ერთი ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობა.

შთამომავლობით და გვარიშვილობით არა უშავდა რა, მაგრამ თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა. თვითონ კი ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობა ვერაფერი შვილი იყო: ახოვანება აკლდა—მეტად ჩია კაცი იყო შესახედავათ—და გარდა ამისა ენა-ბრგვილი და ლარიბი.

მაგიერში ძლიერ პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა და თუმცა მის მზეს არავინ ფიცულობდა, მაგრამ ყველას ებრალებოდა და ყველა უფრთხილდებოდა:

— მართალია, დაკნინებული კი არის, ენასაც ძლივს აბრუნებს პირში, მაგრამ პატიოსანი კაციადა, რაც უნდა იყოს, ერთად-ერთია—სხვა ჩვენ არა გვყავსო,—ამბობდნენ მისთვის.

— იქნებ მოჯობინდეს, ენაც გაიტეხოს და ჯანზეც მოვიდესო,—ჰფიქრობდნენ. ენის გატეხას ძალიან ცდილობდა, ღვთის წინაშე: ვინ იცის, რა და რა უცნაური ჩქარა-გამოუთქმელი ლექსებით არ ავარჯიშებდა თავის ბორკილ ენას, მაგრამ ეს ვარჯიშობა თუ სწყენდა, თორემ შველით არა ჰშველოდა.

ძლიერ ცუდ ყოფაში იყო საბრალო. თითონაც გრძნობდა, რომ კარგი არ სჭირდა, მაგრამ ვერა გაეწყო რა.

განსაკუთრებით მაშინ გაუმწვავდა ტანჯვა-წამება, როდესაც საქართველო განთავისუფლდა და დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო.

სიტყვა კაზმული მწერლობა ჰხედავდა რომ მის გარშემო სიცოცხლე სჩქეფდა, შემოქმედების ცეცხლი ჰღვიოდა და თითონ კი თანდათან სჭკნებოდა.

— საბრალო, არ კი მოკვდესო,—სწუხდნენ მისთვის: რაც უნდა იყოს, პატიოსანი კაციაო.

— ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო,—ხშირად გაუელვებდა ხოლმე თავში მწერლობას.

ერთხელ, ძალიან რომ გაუჭირდა და ილაჯი გაუწყდა, თავის ნესტიანსა და ცივს სარდაფში ბედს ჩივილი დაუწყო:

— რაღა ვარ მეო?—ამბობდა: ქვეყანა ჯადლადებს, ცხოვრებას ლოყებზე ალმური ასდის (მხატვრულ სახეებით უყვარდა ლაპარაკი) და მე კი ნარინჯის ფერი დამდებია და სულს ძლივს ვათრევო. სადა ხართ თქვენ, ფრთოსანო რაშებო ჩემი ოცნებისანო და თქვენ, თავხედო იმედებო ჩემის სიყრმისაო! ნუთუ ყველანი ქიმერებათ იქეცითო!—და თავის მოსაკლავად მოემზადა.

უკებ მის სარდაფში საიდანღაც გაჩნდენ რაღაც საოცარი და საშინელი არსებანი, რომელნიც მანქვაგრეხითა და შემაძრუწნებელი ხითხითით აეკრენ ყველა კედლებს.

— ვინა ხართ? . რა გინდათ ჩემთანო?.. წამოიძახა თავზარდაცემულმა სიტყვა კაზმულმა მწერლობამ.

— ხი-ხი-ხი! აკი თითონ შენ გვახსენე! ჩვენც მოვედითო,-უპასუხეს ჭინკების მსგავსმა არსებებმა და კვლავ ხითხითი მორთეს.

— როგორ თუ მე თითონ გახსენეთ! ვინა ხართო?—გაუმეორა მწერლობამ.

— ჩვენა ვართ შენი ქიმერები და შენს საშველად მოვედით: ნუ გეშინია... საჭიროდ არ მოვსულვართო,—უთხრეს მათ.

— მაინც, რა გინდათო?, ჰკითხა მწერლობამ.

— შენი შველა, შენი სიკვდილიდან გადარჩენაო—უპასუხეს ქიმერებმა.

— ტყუილი განზრახვაა: მე ვერარავინ მიხსნის, რადგან თავის მოკვლა მტკიცედა მაქვს გადაწყვეტილიო.

მაშინ ქიმერებმა ერთი საზარლად დაუსტვინეს და სიტყვა კაზმული მწერლობის ბინა თვალის დახამხამებაში გადასხვაფერდა: თვალის მომჭრელმა სინათლემ გააკაშკაშა იქაურობა, იატაკი ხალიჩებით მოიფინა, გაისმა მხიარული ხმა საკრავებისა, საჩნდენ მშვენიერი ნახევრად ტიტველი ქალებიდა დაიწყეს ვნების აშმლელი როკვა, ჰაერი ნაირ ნაირ საჭმელების სუნით და საუცხოვო ღვინის გურნელებით გაიჟღინთა...

— ჰხედავ ამასო?—ჰკითხეს ქიმერებმა: ეს ყველაფერი შენი იქნება, უკეთუ ერთ პირობას შეასრულებო.

საბრალო მწერლობას სალერღელი უუშალა ამ საოცარმა სურათმა. მშიერი იყო სანახევროდ და სიზმარშიაც არ უნახავს ამგვარი განცხრომა და მხიარულება.

— მაინც რა პირობასო?—ჰკითხა.

— შენი სახელი უნდა დაგვითმოო,—უპასუხეს ქიმერებმა და ახითხითდენ.

— როგორ თუ ჩემი სახელიო?

— ისე, შენი სახელიო... შენი სახელი ჩვენ გვექნება ხელში, შენ კი ყოველ დღე აქ ივლი ამ მშვენიერ დარბაზში: სჭამ, სვამ და მიიღებ ათი ათას თუმანამდე თვეშიო.

— ხომ მაინც უნდა მოვჰკვდარიყავიო,—გაიფიქრა მწერლობამ: სიკვდილსა სახელოვანსა სიცოცხლე მიჯობს ნაძრახიო,—და მიჰყიდა ქიმერებს სახელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ქართული მწერლობა უწინდებურათ გამხდარი და გაყვითლებული აღარ არის, თვალსაჩინოდ მოჯობინდა ფიზიკურად, ფულიც კარგა ბლომად აქვს, ოღონდ ენა კი მაინც ვერ გაუტეხია და ისევ ჩლუნგი აქვს.

— ბარემ მომკვდარიყოო, — ამომბენ ეხლა მისთვის: უწინ პატიოსანი მაინც იყო და ეხლა კი სახელი გაჰყიდა... სახელი და სული კი მწერლობისათვის ერთი და იკივეაო....

თაგუნა.

გასათხოვარ ქალს.

ქალი ვიდრე გათხოვდება,
უნდა ჰყავდეს გამწურთნავი,
იმან უნდა ჩააგონოს
მას ცხოვრების კარგი, ავი.

ერთიც უნდა ხელოსანი—
კიბე შეჰქმნას უხილავი,
ესეთივე უჩინარი
აღვირ ლაგამ მოსართავი.

სხვა მზითევი არა ჰქონდეს—
ეს კი უნდა იყოს სრულად,
თორემ როცა გათხოვდება,
ქმართან წავა გულ-ნაკლულად,

კიბე იგი უხილავი
ქმარს მიადგას მეგობრულად
და ზედ თვითონ აიპაროს,
კისრ დ დასჯდეს დაფარულად.

ეშმაკურად ულერსოს,
ქმარმაც მორთოს საუბარი,
პირს ლაგამი გაუყაროს,
დაიმონოს ამით ქმარი.

საითაც სურს თავი უკრას,
არბენინოს მთა და ბარი,
ქმრის აშკარად იყოლიოს
გულის ტოლი მეგობარი...

განჯის კარელი.

მცირე მოსაზრებანი დიდ საკითხზე.

ღრმადა მწამს, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, უკეთუ ადამიანი საქმეს გულწრფელად და ხალისიანათ მოეკიდება.

ეს ჩემი რწმენა ერთხელ კიდევ დამტკიცდა, როცა თვალსაჩინოდ დავინახე ზოგიერთი კეთილი ნაყოფი ჩემი პირველი წერილისა „თამადობაში რეფორმების შესახებ".

ქ-ნი პუწკიას დღეობაზე თებერვალის 9 პატივცემულმა რაოდენმა პირველი თხოვნისათანავე იკისრა თამადობა და, რაც უფრო საყურადღებოა, პირველი სადღეგრძელო პირდაპირ ჭურჭლის სარეცხი ბადიით დაიწყო. რასაკვირველია, აქედან ჩვენს იდეალებამდე ერთობ შორე მანძილია, მაგრამ მაინც გესიამოვნება ადამიანს როცა მცირეოდენ წინსვლას დაინახავ და თანაც გრძნობ რომ ამ წინსვლაში შენც წილი გიძევს.

„ჭამა მადაში მოდისო" უთქვამს ძველათ ვიღაც ფრანგ მეცნიერს და არა გვაქვს საბუთი მას ამ თქმაში არ დავეთანხმოთ. თავდაპირველად, როცა თამადობის რეფორმაზე წერა განვიზრახე, მიზნათ მქონდა ეს კითხვა ერთ ხაფოძვლიან წერილში გამერკვია. საქმის დაწყებისათანავე ვიგრძენი რომ ერთ წერილში კითხვის გარკვევა ყოვლად შეუძლებელი იყო და საკითხი ორათ გავყავი. მაგრამ, რაც უფრო ღრმათ ვუკვირდები ჩემ ძიერ ხელწამოკრულ საკითხს, მით უფრო იმლება ჩემ თვალწინ მისი სიდიადე, სირთულე, სიმძიმე და მრავალფერობა. მე რასაკვირველია აზრათ არა მაქვს სავსებით ან ვსწურო აღნიშნული საკითხი, მაგრამ ეხლავე ვამბობ, რომ რისი თქმაც მსურს, იმისი მოთავსებაც შეუძლებელია ერთს წერილში.

ამ მოსაზრების მიხედვით გადავსწყვიტე მეორე წერილშიაც საკითხის ზოგად მხარეებს შევეხო და კონკრეტული ჩემი წინადადება რეფორმათა შესახებ მესამე წერილისათვის გადავსდო.

სუფრის გამგეს საქართველოში ორი სახელი აქვს: თამადა და ტოლუმბაში.

პირველი მათგანი უფრო გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო მეორე კი დასავლეთში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ინტელიგენტურ წრეებში პირველი სიტყვის ხმარება სჭარბობს.

არა ერთი და ორი საღამო შევსწირე მე ამ სიტყვის წარმოშობის გარკვევას, მაგრამ საბოლოოთ გარკვეული ჯერაც არ გონია ის. დაახლოებით კი მისი შინაარსი ჩემის აზრით მიღებული უნდა იყოს.

ვინც დაჟირვებით ადევნებდა თვალყურს თამადობის საქმეს ძველათ და ადევნებს დღესაც, ის დამერწმუნება, რომ ამ თანამდებობაზე ირჩევდენ (უფრო ძველად) ტრაპეზის წევრთა შორის ულონიერესსა და მძლავრ პირებს. ასეთები იყვნენ: ბლაღოჩინები, დეკანოზები, მამასახლისები, თავად აზნაურთა წინამძღოლები, შემდეგ მღვდლები, ხოლო დაბოლოს უბრალო მოქალაქენი. ყველაზე უკეთესი თამადა ის იყო, და არის დღესაც, ვინც ყველაზე მეტს სჭამს, სვამს და მოილხენს. თამადას ზოგჯერ ჭკუაც სჭირია, მაგალითად როცა ნადიმი დიპლომატიურია. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერი მშობლები.

ანტანტის სახელმწიფოები. (ნაზის სიყვარულით დასცქერიან ახლშობილ ზავს) რა კარგი ბიჭუკელაა, ამას კი ენაცვალოს მისი მშობლები!..

უმთავრესი ღირსება თამადისა, ზოგადი სიტყვით თუ აღვნიშნავთ, გახლავთ **მადა**; მადა ჭამისა, მადა სმისა, მადა მხიარულებისა. აქედან ცხადია, რომ, რაც უფრო დიდი იქნებოდა ამა თუ იმ პიროვნების მადა, განსაკუთრებით კი მადა სმისა, მით უფრო სახელოვანი იქნებოდა თამადა. პირველ ყოფილი ქართველი, ახლად ჩამოსული არარატის მთიდან და მის კალთებზე დასახლებული, ცდილობდა მოენახა რაიმე საგანი ამ დიდი მადის აღსანიშნავად. არავისთვის საკვირველი არ უნდა იყოს, თუ მისი ყურადღება მთამ მიიქცია, ვინაიდან ყველაფერზე დიდი ჩვენს გარშემო მხოლოდ „მთა“ არის.

ამგვარათ საუკეთესო სუფრის ეფროსს უნდა ჰქონოდა მთა-მადა, ე. ი. მთის ოდენა მადა. მადა, რომელიც ნთქავს ყველაფერს, განსაკუთრებით კი ღვინოს, არაყს და სხვა სასმელებს.

ძველათ მასპინძელი საგანგებოთ იწვევდა ასეთი მადის მექონე პირს ზეიმში, ხოლო თუ საგანგებო პირი არ იყო მოწვეული, მაშინ დამსწრეთა შორის ირჩევდენ მას, ვისაც ყველაზე უფროსი, ანუ მთისოდენა მადა ჰქონდა. ჩვენის ღრმა რწმენით ამგვარათ წარმოიშვა პირველად სიტყვა **მთამადა**. მაგრამ ვინაიდან ქართულ ენას არ უყვარს სიტყვაში ორი ერთნაირი თანხმოვანი ნიშნის გაჩერება, ამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ დროთა ბრუნვაში სიტყვა „მთამადას“ პირველი „მანი“ ჩამოეცალა და დარჩა აწ ხმარებული სიტვა „თამადა“.

მე კვლავაც განმიცხადებია და ახლაც საჯაროთ ვამბობ, რომ ჩემი გამოკვლევა არ მიმაჩნია უტყუარ ჭეშმარიტად როგორც შენგელაიას—სყველაფერი მის მიერ თქმული, და უკეთუ სხვა ვინმე უფრო მიზან შეწონილათ ახსნის ამ საჭირბოროტო სიტყვის წარმოშობას, მე დიდის სიამოვნებით მივიღებ მის განმარტებას.

სინონიმი თამადობისა, სიტყვა „ტოლუმბაში“ აშკარა თათრული შთამომავალობისა უნდა იყოს. ვის არ გაუგონია მაგალითად მისი მაგვარი პირდაპირ სამხრეთიდან შემოჭრილი სიტყვები: ყიზილბაში, უსტაბაში, ბოზბაში და სხვა. ამ რთული სიტყვის მეორე ნახევარი „ბაში“ ქართულად როგორც მოგეხსენებათ უფროსს, ანუ „თავს„ ნიშნავს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბევრს დაებადა, ხოლო უფრო მეტს კვლავ დაებადება, სურვილი ამ უკანასკნელ სიტყვაზე ააშენოს ახალი თეორია, აღნიშნული სიტყვის „ტოლუმბაშის“ წარმოშობისა. მართალია „თავი“ (რასაკვირველია ქალაქის) ხშირად ცნობილი თამადა არის, მაგრამ ეს შეხედულობა კრიტიკის პირველ შეტევისათანავე იმსხვრევა. მოგახსენებთ რატომ. ზერელე მოაზროვნე ავტორები საქმეს ღრმათ ვერ უკვირდებიან, მასთან ერთად ისინი რუსულად ფიქრობენ და ქართულად კი მსჯელობენ ქართულ საქმეებზე.

ბატონებო, სრული სიმართლეა, რომ სიტყვა „ბაშ“ ნიშნავს თავს, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ „თავი“ ამ მნიშვნელობით ქართული სიტყვა არ არის. ის თარგმანია რუსული „გოლოვა“-სი და მაშასადამე დასახული მიზნის საფუძველად არ გამოდგება. იმ „თავს“, რომელსაც რუსული „გოლოვა“ გამოსახავს, ჩვენ ქართველები „მოურავს“ ვეძახით. აქედან ცხადია, თუ რა ყალბ ნიადაგზე სდგანან ის პატივცემულნი ჩვენი მოწინააღმდეგენი, რომელნიც სიტყვათა ამ აღრევაზე თავისს თეორიებს ამყარებენ. ჩვენის აზრით, ეს საკითხის აბუჩათ აგდებას ნიშნავს და ვფიქრობთ ქართველი დემოკრატია დღეს იმდენათ მომზადებულია, რომ ამის ნებას არავის მისცემს.

უკეთუ ჩვენი მოსაზრება მართალია და სიტყვა „ტოლუმბაში“ თათრული შთამომავლობისა არის, მაშინ ცხადზე უცხადესია, რომ ეგ სიტყვაც ძველთა ძველი უნდა იყოს; სახელდობრ იმ დროინდელი, ვიდრე წინასწარ მეტყველი მაჰმადი დაბადებოდა, ანუ უკეთ ვსთქვათ იმ დროინდელი, როდესაც თათრებიც ქართველებისავით პირნათლად სვამდენ ღვინოსა და მაშასადამე თამადასაც საჭიროებდენ.

მიუხედავათ იმისა, რომ სიტყვა ტოლუმბაში სიმღერას (ტოლუმბაშო ჩანჩალაო, და სხ.) უფრო უხდება, ვიდრე თამადა, მე მაინც მოვითხოვ ის განწირულ იქნას ხმარებიდან და ქართულ სუფრას განუყოფელად დაეპატრონოს სიტყვა თამადა.

ეშმაკი.

სტანსები.

1

ციმბირიდან მონატყორცნი
თფილისს სუსხავს ყინვა ცივი,
საყვარელსაც ვერა ვკოცნი
ცხვირზე მაზის ვერცხლის მძივი;
თუ გინდ გყავდეს ცოლნი ოცნი
და საყვარლად ასი ქვრივი—
—ვერ გათბები მაინც, ვერა...
თუ არა გაქვს ცხელი კერა.

2

რუსთაველის გზატკეცილსა
ჩამოუვლი ყოველ დღესა;
მაღაზიებს გაწყობილსა
ვხედავ ორთავე მხარესა;
„ტორტ-ტრუბოჩკებს“ დაცხობილსა—
„შოკოლადს“ და, „მონპასესა“—
—ამეშლება საღერღელი...
ვერ კი მიმიწვდება ხელი:

3

როგორ თუ არ გადირევი:
შენ გშია და სხვა კი ძღება!..
მჭადი ქიშმიშ განარევი
პასკასავით გენატრება.
საღეჭავად არ გაქვს კევი,
პირში ნერწყვი გაგიშრება...
წყეულ იყოს ეს ქანქარი,
ყველგან სჭარბობს, აქ არ არი.

4

ფაიტონს და ავტომობილს
ვერ შეუვლი ქუჩებშია;
შიგა ხედავ ანტონ ძმობილს
ფული რომ აქვს ყუთებშია,
ფრაკ-ღალსტუკში გამოწყობილს,
ათასს ხარჯავს წუთებშია.
მას ბინად აქვს ორიანტი...
გახლავთ იგი სპეკულიანტი.

5

სულ სამოცი პროცენტები
მოუმატეს ჯამაგირსა;
ეგ მიტომ რომ „სლუჟაშჩები“
ცუდ დღეშია—ჭამა სჭირსა...
ცოტა ჭამით ვერ გაძღები
დღეში სჭამ პურს სამსა გირსა.
სამ გირ პურსა კი უნდება,
დღიურ ქირად რაც გერგება.

6

ტრამვაივ, აწ მშვიდობითა,
შენში ჯდომა არ შემხვდება!
(მხოლოდ კვირა დღეობითა
შენში ჩავჯდე შეიძლება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდი დროება.

ლომი. დასწყევლოს ღმერთმა! ისეთი დროება დადგა, რომ ლამის პატიოსანი ლომიც გამამხეცოს.

დიდი შრომით და ოფლითა
ადგილს შოვნა არ სჭირდება.
ვერ გადვიხადი ექვს მანეთსა,
ვერ ვიყიდი შენს ბილეთსა.

7

დღენი ჩვენი ცხოვრებისა
მთლად გამწარდა, როგორც ქინა
(სჩანს ეგ არის ნება ღვთისა)
არც მაქვს პური, არცა ბინა,
მარა ცქერა ამ ქვეყნისა
მაინც რომ არ მომეწყინა??
მომავალი მასულდგმულებს,
ის მომირჩენს გულის წყლულებს.

ისელი.

ჩემი დუმილი.

კაცო, რატომ აღარაფერსა სწერ, რატომ სდუმს შენი ქნარიო? ხშირად მესმის ნაცნობ მეგობართა საყვედურები.

აი ჩემი პასუხიც:

ხშირათ დუმილი ყოველს მჭერმეტყველებაზე უფრო მჭერმეტყველია. მაგონდება კრილოვის მზარეული და კატა. მზარეული უაზროთ ჰქუხდა, კატა კი მჭერმეტყველურათ სდუმდა და ანადგურებდა შემწვარ ქათამს. ეხლა როლები რამდენიმეთ შეიცვალა; კატების ადგილი ზოგან მზარეულებმა დაიჭირეს იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელნი სამზარეულოში დღემდის არავის უნახავს. დღეს კი . . აბა რა სჯობია შემწვარს ქათამსა და ხაჭაპურებს! უნებლიეთ მაგონდება ერთი „ტიპი“: ძველს დროში ეს „ტიპი“ საუცხოვოთ ეგუებოდა ძველს წესწყობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებას, თბილი ადგილი ეჭირა და ქვეშ მტკიცე ნიადაგსაც გრძნობდა. ჩვენს დროსაც ეს „ტიპი“ საუცხოოთ შეეგუა და ბებერი არშიყის როლს ისე თამაშობს, როგორც დახელოვნებული არტისტი. მას ისევ თბილი, ისევ მტკიცე ნიადაგი!.. დიდ არს, ალლახო, საქმენი შენნი!.. მაგრამ ალლახი აქ აბა რა შუაშია? „რაც გჭირს ჩემო დავითაო, ყველა შენი თავითაო“, ამბობს ხალხური ანდაზა, რომელსაც, თუ არ ვცდები, ნეტარ ხსენებული სოლომონ ზურგიელიძეც სავსებით ეთანხმებოდა.

აბა კარგათ დავუკვირდეთ, თუ ეს მართალი არ არის; რათ ვსდუმვარ, მაგალითად, მე? კუთხეში მიგდებული ჩკარი ხომ არა ვარ? რატომ ხმას არ ამოვიღებ? რატომ არაფერსა ვსწერ? იქნება ჩემმა სიტყვამ ვისმე რაიმე არგოს? იქნება ვისმეს კიდეც ავნოს?.. უწინ, როცა წერას მიკრძალავ დენ, ოითოეული სიტყვისთვის, ვინ იცის, რა სასჯელი არ მომელოდა, ვსწერდი, ოხრათ ვსწერდი. დღეს კი, როცა არავინ მდევნის, პირიქით, მეხვეწებიან კიდეც: „სწერეო!“-მეც „დავითას ჯორივით“ გავჩერებულვარ და ენას არა ვსძრავ. შე ოხერო, დასძარ ეს გასაქვავებელი ენა! სთქვი, რაც სათქმელია: საქები აქე, საძაგებელი ძაგე, ერთი სიტყვით, ილაპარაკე სიმართლე, აამოძრავე ეს მჭრელი და მძლეო-მძლე იარაღი!...

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ექნება თუ არა გასავალი მართალ სიტყვას? „მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“ ამბობს ანდაზა და ვინაიდგან შეკაზმული ცხენის ფასი დღეს 15-დან 20 ათას მანეთამდე აღწევს, ხოლო მე კი ხშირად მჭადის ფასიც მენატრება, ადვილათ წარმოიდგენთ ჩემთვის რა სიძნელეს უნდა შეადგენდეს თუნდაც ერთი მართალი სიტყვის თქმა.

ამასთან სოლომონ ზურგიელიძეზე არა ნაკლებმა მამულიშვილმა და ჩვენში კარგათ ცნობილმა საზოგადო სავაჭრო სამრეწველო ასპარეზზე თავჩენილმა მოღვაწემ, ურიცხვი მესანიშნავი, ფორიზმების, ნაკვესების და სხვათა ავტორმა, ლარვენტი ცხვირგრეხიაშვილმა, ხშირათ იცის ხოლმე თქმა: „თუ კაცს პოლიტიკური ალღო არ ესმის, ის არა თუ კომიტეტის, პარტიის უბრალო წევრათაც არ ვარგაო“-და განა შეიძლება არ დავეთანხმოთ, და ისიც სავსებით, ამ პატივცემულ გვამს?!. ამ პატივცემულ აზრში პატივცემელი გვამისა ოტის ოდენი იჭვის შეტანაც კი შეუძლებელია. მართლაც და თუ რომ კაცს „პოლიტიკური ალღო არ ესმის“ ანუ თუ კაცს სმენის პოლიტიკური ალღო არა აქვს (მით უფრო თუ საღი მხედველობა, ე. ი., პოლიტიკური შორს მჭვრეტელობა ბუნებას მისთვის არ მიუცია) მაშინ ის წარამარა დაიწყებს მართალი სიტყვის ოროშვას და სულელის სახელსაც ადვილათ დაიმსახურებს. შეიძლება ეს აღნიშნულ პირს სიგულრწფელითაც მოსდიოდეს, მაგრამ მეტი სიგულრწფელე მეტი სისულელეც არის. ავიღოთ მაგალითად, ბავშვები. რისთვის იმსახურებენ ეს ჩვენი ცხოვრების ყვავილნი ხშირად სულელების სახელს დიდებისაგან? იმიტომ მხოლოთ, რომ თავიანთ სიგულრწფელით ისინი ხშირად ისეთ სიმართლეს წამოიძახებენ, რაიც მოზრდილებს სირცხვილის ოფლს დაასხამს ხოლმე. მხოლოთ შემდეგში, როცა ბავშვები წამოიზრდებიან, ანუ „ჭკუაშიც ჩავარდებიან“ ე. ი. როცა ჭკარგავენ სიგულრწფელეს და ითვისებენ იმას, რაც პატივცემულ „ცხვირგრეხიაშვილის“ სიტყვით, „პოლიტიკურ ალღოს სმენა“ ანუ სმენის პოლიტიკური ალღო ეწოდება. ხოლო რაც აქ სმენაზეა ნათქვამი, ლაპარაკზედაც იგივე იგულისხმება სავსებით. და აი სწორეთ ეს პოლიტიკური ალღო გვავალებს ჩვენ ვილაპარაკოთ ხშირათ არა ის, რაც ჩვენა გვსურს, არამედ ის და ისე როგორც ამას მოითხოვს თანამედროვე პოლიტიკური წამი, ანუ როგორც მეცნიერებაშია მიღებული, „პოლიტიკური მომენტის“ მაგრამ სანამ პოლიტიკური მომენტის შესაფერ რასმე იტყოდე, ხომ კარგთ უნდა გაითვალისწინო ეს მომენტი? მოგეხსენებათ რომ დღეს აწონ-დაწონვისა, თუ გნებავთ გაზომვისაც და შეფასების საკითხში არ სცდება მხოლოთ სპეკულიანტი, უბრალო მოქალაქე კი დიდხანს უკვირდება, დიდხანს უფიქრდება, ერიდება ნაჩქარევს პასუხს და ნაჩქარევს შეცდომას. ეს ოხერი პოლიტიკური მომენტი კი არ იცდის, ის ჩვენი „ბებერი არწივის“ თქმისა არ იყოს მეტად სწრაფად იცვლება. ამ სისწრაფეს ჩვენ ვა ჩნევთ მხოლოთ პოლიტიკურ მომენტებისა და სასუ-სათო განყოფილებს გამგეთა ცვლილებაში. დიახ, ისე სწრაფათ იცვლება ეს რაღაც პოლიტიკური მომენტია, რომ შენ ჯერ კიდევ ერთით გამოწვეული დუმილისათვის ვერ დაგიხწევია თავი, რომ წინ უკვე მეორე პოლიტიკური მომენტი წამოგეჭიმა. მეორეს მალე მესამეც მოჰყვება... შენ კი სდუმხარ ზევით მოხსენებულ „დავითას ჯორივით“ და შენც სდუმხარ წყალ დაშალ წისქვილივით.

მაშ, ნუ მიშლი ამ ტკბილს დუმილს, ჩემო მკითხველო!.. ნება მიბოძე აქ მაინც მოვისვენო.

— „ინებე!“ მესმის გაოკებული მკითხველის დამცინავი ხმა: „ინებე სანამ დეკრეტი წისქვილების მონოპოლიზაციის შესახებ ჯერ არ გამოუციათ“

— რაო?.. დეკრეტიო?!. ვაი თუ ასეთი დეკრეტი მართლაც გამოიცა. მაშინ კი მშვიდობთი, ჩემო ტკბილო ოცნებავ!..

მაშ... მაშ ისევ ისა სჯობია, ამ თავიდგანვე ვიღრიალო „ღელის წისქვილივით“. აქაო და.. „ფქვავსო“, იტყვიან მაინც.

მაშ, ნურას უკაცრავათ, ჩემო პატიოსანო მკითხველო, თუ დღეის იქით მალ მალე გამოგეჭიმოთ წინ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვორუმი.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია კვლავ ენერგიულათ განაგრძობს ძიებას ქვორუმისას, რომელიც აგრე რიგათ უშლის ხელს, ჩვენი დამფუძნებელი კრების მუშაობას. გამოირკვა, რომ აქ, სხდომის დარბაზში, სადაც სხედან პრეზიდიუმი და მთავრობის წევრები, ქვორუმი არ არის.

ჩემი უშნო ღრიალით სმენის აპარატი შეგიშფოთო*)!
რავქნა, შენ თვით მაიძულე ასე მოკქცეულიყავ:
რაც გჭირს ჩემო დავითაო, ყველა შენი თავი-
თაო!..“

ონისიმე.

საამდროვო.

ეშმაკო დიდო ჯოჯოხეთისავ,
ჩვენაც გვიწვდინე შენი მათრახი,
რომ ავლაბრისა ჩარჩ-ვაჭრუკანებს
დააწყებინო შიშით ცახცახი.

თორემ ისინი ასეთ დუხჭირ დროს
კიდევ უმეტეს რევენ,—სწეწავენ,
და მუშა ხალხის ოფლით მონაგარს
ხელით აცლიან, ურცხვად კენკავენ.
ვინ მოსთვლის იმას, რასაც სჩადიან,
შეგროვილი ყავთ უკვე პარტია,
გუშინ რომ ყველას კაცი გვეგონა,
დღეს ჰხედავ ისიც სპეკულიანტია!..
შიში არა აქვთ, არავის სცნობენ,
მხოლოდ საკუთარ თავსა არგია,
ნიხრი სურსათზე და ამგვარები
ამა პირთათვის მეტი ბარგია.

---

*) მადლობა ღმერთს!! ეშმაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვორუმი.

აქ კი, საუზმის მისართმევ ოთახში, ქვორუმი ყოფილა. ასე განაცხადა კრების ერთმა წარჩინებულმა წევრთაგანმა. ცხადია, ქვორუმი პრეზიდიუმზე და მთავრობაზე უფრო დიდი კაცი ყოფილა.

ფასთა ხელოვნურ—ზრდა-აწევაში
დამერწმუნები ტოლი არა ყავთ,
ყოველ გვარ ბოროტ-მოქმედებანი,
როგორც მათ უჯობთ, იმ რიგათ გაჰყავთ...
მოქალაქე კი ხედავს ამაებს,—
მაგრამ შიმშილით რაღა ეთქმება,
ფასთა დღიურ ზრდას, შეურაცყოფას,
ძალაუნებურ ის ურიგდება.
ვიცი, რომ მეტყვი: „რას აკეთებსო
ადგილობრივი ამ დროს მთავრობა,“
(კითხვისთვის მადლობთ. ღმერთმა გიკითხოს
და ნუ მოგაკლოს მისი წყალობა!)
ქე არის ისე ქეიფის გვარათ.
ან კი რაღა ქმნას ამაზე მეტი,
ნეიტრალიტეტს იცავს ჩარჩებთან,
ვერ ვნახეთ მითვან ჩვენ განამეტი.

ითნჯა.

მთავარი სახელოსნოები

განცხადების დაფაზე.

მეორე განცხადება:

დეპოს და მთავარ სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეთა კავშირის კულტურა-განათლების კომისია აცხადებს საყოველთაო საყურადღებოთ, რომ მან უკვე მოაწყო ჩინებული საყვირი ორკესტი (духовой оркестръ) კავშირის წევრებისაგან და უთმობს დასაქირავებლათ შელავათიან ფასებში სხვა და სხვა ორგანიზაციებს.

ორკესტრის მოსმენა შეიძლება ყოველ დღე დღის 8—9 საათამდე რკინის გზის სავალთმყოფოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან დიდი ხნის გახსნილ სამშობიარო განყოფილების გვერდით.

კულტურა-განათლების კომისია.

მესამე განცხადება.

დიდად გაბედნიერებული თქვენი ამგვარი ყურადღებიანი მოპყრობით და აღფრთოვანებული იშვიათი დაფასებით ჩემი ოცდა ხუთი წლის სამშობლოსადმი ერთგული სამსახურისა, მოგიძღვნით თქვენ სახელოსნოს პროლეტარნო ჩემს უღრმეს მადლობას და ფიცსა ვდებ თქვენს წინაშე, რომ, სანამ მე ჩემ პოსტზე ვიქნები, ერთგულათ დავიცავ ყოველსავე თქვენს სამართლიან მოთხოვნილებას.

სამექანიკო დარგის ბუჰხგალტერი მუმლაძე*).

ცოცხი.

დეპეშები.

ქარელი. გორის სამაზრო ერობის საექიმო-სასანიტარო გამგის განკარგულებით მოხდა მთელს მაზრაში მკბენართა აღწერა. მხოლოდ ქარელში აღმოჩნდა რვა მილიარდი ჯიშიანი მობოლშევიკი მკბენარი. სხვა სოფლებში მოსალოდნელია მეტი სიმდიდრე აღმოგვაჩნდეს.

ლოხოშა.

საგარეჯო. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ და სახალხო გვარდიის საოლქო შტაბმა რეკვიზიციამოახდინა ყველა მეარღნეებისა, მედოლეებისა და გარმონჩიკებისა. რეკვიზიციას აღნიშნული დაწესებულებანი მისი ყოველდღიური საჭიროებით ასაბუთებენ.

საგარეჯოს თემის ხმოსნები პირდაპირ ეშმაკი ხალხი გამოდგა. მათ გაიგეს ქართული ანდაზა:

„ახალი ცოცხი კარკათ ჰგვის, ძველი მოატანს ქვიშასაო“ და თემის გამგეობას ყოველ დღე სცვლიან.

განზრახულია: ადგილობრივი აფთიაქი და სოციალისტ ფედერალისტთა ბიურო გადატანილ იქმნეს სასადილო „მარიფათში“, ხოლო გვარდიის შტაბი და სოციალ-დემოკრატების ბიურო სასადილო „ქურხულში“.

ქინქლა.

კახათი. (საგეგრელო) იმდროს, როცა ცნ. ბილი ლექტორი პავლე ჩახაია უხსნიდა ხალხს თუ რამდენი მილიონი ბაჟი დაადო მთავრობამ კიბოებს, ჭიანჭველებს, ბზიკებს და სხვა მწერ-ქვეწარმავალებს ორატორს გული შეუწუხდა და 47 გრადუსი სიცხე მისცა. ხალხს ძალიან ეშინოდა ტკინის ანთებისა, მაგრამ სასწრაფოთ მოყვანილმა ექიმმა საზოგადოება დაამშვიდა. ტკინის ანთების მხრივ პავლე ჩახაია თურმე უზრუნველ-ყოფილი ბრძანდება.

ჭინკა.

შორაპანი. აქ გავრცელდა უცნაური სენი. ის უმთავრესათ რკ. გზის მებილეთეებს უჩნდება. მან უკვე იმსხვერპლა ზესტაფონში ბ-ნი ცქიტიშვილი, ხოლო ხარაგოულშიდ თათეიშვილი. სენი ერთობ გადამდებია და როგორც ვფიქრობთ ფულის ჭუჭყით ვრცელდება. რათა სენი მგზავრებზედაც არ გავრცელდეს, მებილეთეების ნაწილმა გადასწყვიტა, ხურდა არ დაუბრუნოს მგზავრებს. მდგომარეობა საშიშია.

მგზავრი.

ქუთაისი. მექრთამეობისათვის დათხოვნილმა მოლარემ, ს. ჩიქვინიძემ. რკ. გზ. კავშირის ახალ გამგეობას თხოვნა მიართვა, სადაც სხვათ შორის სწერს: „თუ სამსახურში არ მიმიღეთ, თავს მოვიკლავო“ მიუხედავათ იმისა, რომ გამგეობამ მიღებაზე უარი უთხრა, მას თავი ჯერეც არ მოუკლავს. გთხოვთ გამაგებინოთ რა არის ამის მიზეზი.

იქიდანვე. რკ. გზის ექიმ ნაზაროვს სრულებით მოცალობა არა აქვს. ამის გამო გარდა პარასკევისა, მან მოსამსახურეებს ავათ გახდომა აუკრძალა. ამ განკარგულებას არ დაემორჩილა ტყიბულის სადგურის უფროსი ფრიდონიძე და ჯინაზე ორშაფათს გახდა ავათ. ურჩ მოსამსახურეს თავისი დაემართა... იგი მესამე დღეზე გარდაიცვალა.

კ. მწვანეყვავილელი.

ბანძა. ადგილობრივი მილიციის უფროსმა მეოთხედი ნაწილი სოფელი ბანძისა ჩაყლაპა, მაგრამ მაინც მჭლედ დარჩა. ბანძის ცნობილმა მეცნიერებმა ჯ. ხურცილავამ, ი. ფალავამ, მ. კაჭარავამ ალექსანდრე გაბუნიამ და ვ. ხაინდარავამ ეს მოვლენა ფარაონის სიზმარს დაუპირდაპირეს და ერთხმად აღნიშნეს მისი გამაფრთხილებლობითი მნიშვნელობა მოსალოდნელი შიმშილობისათვის. კატასტროფის თავიდან ასაცილებლად გამოცხადდა ბანძის დანარჩენი ნაწილის მონოპოლია.

ციგანი.

ოზურგეთი. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქალთა გიმნაზია საერთაშორისო უფლებაზე ლექციებს უსმენს ყრილობის თავმჯდომარეს მ. ხ—ძეს და მომმრიგებელ მოსამართლესს. კ-იას. მსმენელთა რიცხვი იმოდენია, რომ შინაცვერ იტევს.

ტიბეტიდან გადმოფრინდა მკურნალი არატორი ბ. ბ-ძე. აქიმობაში და ღრმა მოხუცების სასაფლაოზე სიტყვების წარმოთქმაში გასამჯელოს არ იღებს. სხვა პირობებშიც კი ხელ მისაწდომია.

ერობამ დაიკავა 12 თავისუფალი და 24 მდგურებიანი სახლი. კიდევ ესაჭიროება ერთი სამსართულიანი სახლი თავისი „მოამბის“ რედაქციის მოსათავსებლათ.

საბჭომ დახურულ კარებში „უსაქმო“ ღორიბს

*) ეს განცხადება პასუხია იმ ადრესის, რომელიც მიართვეს მთავარ სახელოსნოების მუშებმა ბ. მუძლაძეს. იხ. „ეშმ. მათრ. № 9“.

ც—ხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, რამაც ამ პატიოსან პირუტყვთა ევაკუაცია გამოიწვია. ისინი ბათუმისაკენ მიისწრაფიან.

კანიკულებზე წასული მასწავლებლები უკვე დაბრუნდენ და შეუდგენ. (დამახინჯებულია)...

წუნარი.

სურვილის „თანხმათ“

გერმანელ გლეხებს როცა სტანჯავდენ
(ბატონ-ყმობის და მონობის დროსა),
მაშინ გლეხები ძალზე .გამწარდენ,
მათ აჯანყების აღმართეს დროშა.
და შეებრძოლენ ბატონ მჩაგვრელებს,
რომ მონობიდან ეხსნათ თავები,
მაგრამ შეგნება რადგან არ ჰქონდათ,—
მწარეთ დამარცხდენ საცოდავები.
სადაც ვინ იყო მუქთახორები,—
წამოესია აქ გლეხებს ყველა...
გმინავდენ გლეხნი; ხსნას ღმერთს და სთხოვდენ,
მაგრამ არ სჩანდა არც ღვთისგან შველა.
ვურცბურგის მთავარ-ეპისკოპოზი
გლეხების დასჯით ხარობდა დიდათ;
თან წყევლა-კრულვას უძღვნიდა გლეხებს,
ეს კი გლეხ-კაცებს ძლიერ უკვირდათ.
თუ ეპისკოპოზს მიზნათ ის ჰქონდა,—
ხალხი ექცია ქედ-წახრილ მონათ—
მუქთა ხორების საწველ-სახედნათ,
ეს ასე გლეხებს როდი ეგონათ.
მათ დღემდე მთავარ ეპისკოპოზი
დიდ წმინდა კაცათ წარმოედგინათ,—
დღეს რომ შეხედეს მის საძაგლობას,—
არ მოელოდენ, ძლიერ ეწყინათ...
და გლეხურისა გულუბრყვილობით
მას შეუთვალეს: „რას ვხედავთ ამას,
უსამართლობის მხარის დაჭერა
როგორ შეშვენის სულიერ მამას!!.
რა-კი ასეა: დაგვიწყებია
სამართალი და ღმერთი—გამჩენი:
საწყლებს სჩაგრავ და მდიდრებს ემხრობი,—
თვალით დანახვა აღარ გვსურს შენი!!!“
ეპისკოპოზმა ამის პასუხათ
სთქვა: „თუ დანახვა აღარ გსურთ ჩემი,
მე შეგისრულებთ მაგ სურვილს მალე,
მაგისთვის დიდ ფიქრს არ მივეცემი!!“
ეს სთქვა მუქარით... და ჯალათებთან
საქმეც გაჩარხა ძალიან ჩქარა:
საწყენ სიტყვების შემომთვლელ გლეხებს:—
ოთხმოც და ხუთ კაცს თვალი დასთხარა.*)
და თან დაცინვით უთხრა: „რადგან თქვენ
ჩემი დანახვა აღარა გსურდათ,—
აწ თქვენ ვეროდეს ვერ დამინახავთ...
რაც თქვენ გინდოდათ ხომ აგისრულდათ?!!

ფონ ტეფო.

---

*) ამ ლექსის სიუჟეტი აღებულია ბორნეს თხზულებიდან:„ გლეხ-კაცების ომები გერმანიაში, რეფორმაციის დროს·“ ნათარგმნი ნ. ანტონოვისა. იხილე „კრებული“ მესამე წიგნი გ. წერეთლის და ამხ. გამოცემული 1871 წ.

ლექსის ავტორი.

ფეხზე ვაჭრობა.

(გურული სცენა)

არა!... რეიზა არ მომცა ღმერთმა მე რამეის შნოი?.!. მაინც, რა ჩემი საქმე იყო ფეხზე ვაჭრობა? რაც დევიბადე, მას მერე სულ მიწას ვფუგნი, ყანჩასავით მაქ წაგძელებული კისერი მიწაში თოხის ბაყუნით, მარა რუმ შემოგიჩდება ეშმაკი და შეგაცდენს, იგია... ფეხი და კისერი მოსტიხა (მა ზეციერმა ჩემს კელასიას, რავა იმან მე [illegible] გადამაცდინა კაცი..

შემომიჩშა ჩემი კნეინა კელასიე, არ გამართვა საშველი, ავდგეთ და გადავსახლდეთ გორედში. აქანე, მისდღემჩი ვაგდივართ მარა რა სიკეთე დეგვეყარა, რას უყურეფ, ამ გამოყრუებულ მუხუროში, როცა სულ ყველაყანაი გორედში გადასახლდენ.

ქალო, ნუ შევიქდები ფხრებში ეშმაკი, რის გორედში, რა გორედში იქინე შენი ნაგზვითი სახლები და იმენია მაქ თუ სა მიშობ მეთქინ...

შენ თუ ვარგოდე, აბა რა მიჭირს, შენ თვალებ დასაფსებო, გეიხედე ქვეყანაზე რა ხდება: ყოლი კაცი გაკეთდა, ვინც ვარგებული იყო, ყველაი გამდიდრდა და ჩვენ რაღა სხვაზე ნაკლები ვართო? ყარყუმეს ბიჭმა კარქოიამ სახლები იყიდა თფილისში, იქინა წააბძანა მისი დაფრუშკნული კნეინა ალვასიე. ამირანეს ბიჭმა ელიშულამ დუქანი გაალო ქალაქში და პირველი გილდის კუპეწი გამხდარა... ოლიმეს ყაფლანე ოტკას ზიდავს საცხა და იმდენი რამე მოალაგა შინ რომ თვითან არ იცის იმის ცოლმა ჯაჯიკამ—რა აქ და რა აცვია..

შენ თვალებ დასაფსებო, რუმ გაგვძრა ტანზე ტყავი თლად ყველს, რომ გავშიშვლდით, აგრე სასიძოდეც მიდგა ყუაზე, მალე გამეიხინკება, რას შობი, რას აპირობ? ასე ძაღლსავით ცხოვრება აღარ შემიძლია მე მეტი არა...

რუმ უუწყო ილანჭალა და ილრინა, ილრინა და ბოლოს უწყო ზლუქუნი და ტირილი,—ქე შემეცოდვა მეც, მართლა მე რომ წამომყვა ერთი კაი ცხოვრება არ უნახავს. შემეცოდვა და უთხარი:

ნუ გეშინია ქალო, კელასია, სხვაი თუ ვეფერი მუახერხე, ფეხზე ვაჭრობას მაინც კი დევიწყეფ, (ფეხი რეიზა არ მომტყდა მე მაშინ.) სახამდი სული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინად.

ფული ბაზარში პატარა პორტმონეთი მიჰქონდათ, ხოლო ნაყიდ სანოვაგეს დიდ კალათაშიაც ძლივ ატევდენ.

ეხლა.

ფული ბაზარში დიდი კალათით მიაქვთ, ხოლო ამ ფულით ნაყიდ სანოვაგეს პატარა პორტმონეშიაც თავისუფლად ათავსებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საზღვრები.

დარაჯი. დღიდან ლამიანა აქა ვდგევარ, საზღვარზე, ძილი არა მაქვს და მოსვენება, ასი თვალი მაბია და აბა რა ჯანდაბა უნდა გამეპაროს ბათომისკენ.



დარაჯები. არავინ იფიქროს, თითქო ჩვენ კანონის წინააღმდეგ ვიქცეოდეთ: მართალია ჩრდილოეთიდან ჩვენს ქვეყანაში ხალხის შემოშვება აკრძალულია, მაგრამ თუ კი შიშველსა და გაყვლეფილს გავატარებთ ბილისამდე ხომ მაინც ვერ მიაღწევს! გზაში ამოძვრება სული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდგანა ამ გამხმარ ყაზახს, ვიბოდიალებ, დასვენება მაინც არ მიწერია.

მეიბრუნა გული, ამეიხილა თვალები და მითხრა:

ბეჩა მაი, კაი იფიქრე, რაცხა პაწია წვრილ ფეხი გვყავს შინ დავკლათ, პაწე ოტკა, პაწე ყველი, გოჭები და რაცხა რაცხეებს მოუყაროთ თავი, წეიღე, თფილისში კაი ფასი ქონებია ყოლიფერს, გაყიდე, ჩამოდი, კიდევ წეიღე აქედან რამე, ფული ფულს მეიგებს და სულს მევითქვამთ.

დევეთანახმე, გუგურიე მუსრი ქათმებს, ინდოურებს, გოჭებს; ხუთი სადგამური დიდალი მყავდა, დავკალი, ორი დიდალ მამალი ინდოური, სამი კვატე, ორი ბატი, სამი გოჭი; შეიქნა ჩემსას კრიახი, ჭყივილი კალანდა წინაღამეს რომ იცის ისე დავსწმინდეთ, დავალამაზეთ, ჩავასხი პაწა კუპრიელაში 15 ბოთლი ჭაჭის ოტკა, ორმოც ყველს მოუყარე თავი, დავაცხობიე საგძალი ქადები კელასიას და შევემზადე წასასვლელად.

კი, მარა, გზის ფული რუმ არ მაქ, რეით წევიდე ქალო?

ბეჩა, ერთი დიდალი ქათამი საჯოვახოში ჩამიყვანს, ერთი დიდალიც საჯავახოდან თფილისში.

რას ამბობ ქალო რავა, მკტარ დიდალზე გადავაჯდები და წამიყვანს თუ, რაფერ მელაპარაკები?

შენ უბედურო დიდალი ფული არ არის? შენ არ იძახოდი ცოციალისტი ვარ და პაგრამაც ვიცი მარიქსიეს? „საქონელი ფული არის“ დიდალი ახლა ოცი თუმანი ღირს აქანე და ოც თუმნათ საჯავახოში ჩაგიყვანს მეფაიტონე.

შევკაზმე ცხენი კურტნით, დავჭვირთე, წუდამესტი ხვირჯინში ჩავდევი, მე ფეხზი ქალამანი ჩამევიცვი, გამევემშვიდობე კელასიას და გამოუყევი საჯოვახოისკენ... კელასიამ მომაძახა:

საკუთე რუმ არ ჩამომიტანო, ისე არ ჩამოხვიდე. პაწა პუდრიც წამოიღე, თუ არ დაგავიწყდეს ..

კარქი, კარქი. მივაჩქარებ ცხენს და მიღალ, ჩევედი საჯოვახოში. ყველაი ნაცნობი ვნახე. დევიღლარჯე ყველას: შენი ჭირიმე, მიშველეთ, შემატანიეთ ეგი ხაბაკები პოეზდში, თვარამ თუ ნასილჩიკებს ვაზიდვიე, გამაძრობენ ტყავს მეთქინ... ამოვაძვრე ხვირჯინიდან ორი დიდალი, გევიხმეესე ოსოფეშვილი, უთხარი: გზის ფული არ მაქ და აი ორი დიდალი რუმც არ გჭიროდეს, იყიდე მეთქინ. ააშენა ღმერთმა, არ შემვაჭრებია, ისე მომცა ასი მანათი ორ დიდალში. ასი მანათი არ გეყოფა გზის ფულათო, მითხრა, ერთი დიდალი ინდოურიც მივეცი და შემისრულა ოც თუმნათ ევილე ბილეთი, მევიხმარიე ყოლი კაცი, შევალაგეთ ხაბაკი პოეზდში, მივაწყ-მოვაწყვეთ: დასაჯდომ ქვეშ, თაროზე იქით, აქით კუპრიელე ფეხებს ქვეშ შამევიდეკიდა მოჭუასავით დავაქურუჟდი ზეთ, მითხრეს: „თუ გინახენ, დიგიჭირავენო.“ დასაჯდომი ვერ ვიშოვნე, ავედგარიყავი, კუპრიელე გამოჩნდებოდა, დამაყუყდი ისთევლე კუპრიელს, დიდალი რომ დააჯდება გამოსატეხ კვერცხებს.. ააშენა ღმერთმა იგენი, რაცხა პოეზდის გახრანა ყოფილა, სამტრედიაში არ ვიყავით მისული, რომ გამიჩხრიკეს ოტკა, წამიყვანეს საცხა ოთახში და მითხრეს: „უნდა წარგადგინოთო“

თქვენ იცით, რასაც კარგ საქმეზე წარმადგენთ, მარა რა ვქენი ახლა იმისანე რომ უნდა წარმადგინოთ?

რას ღლაბუცობ შენ ყაძახო, ხუმრობ, თუ რას ამბობ?!

წამოდი მალე და ნახავ შენს სეირს. პაწე ქე შემეშინდა. შევეხვეწე; ნუ დამღუპავ ამ 15 ბოთლი ოტკიზა მაგი თქვენი ფეშკეში იყოს მეთქი. ფეშქეში კი არა, ამ ოტკას ჩვენ წარვადგენთ, შენ წადი შენ გზაზე და როცა დრო იქნება, მოგიკითხამთო..

შევედი პოეზდში, დავხედე ხაბაკს — ჩემი ორი გოჭიც ქე წიერდგინა ვინცხას საცხა.

აი, რაცხა ფეხზე ვაჭრობა რა უბედურობა ყოფილა; საჯოვახომდე ფეხით ჩამუედი, პოეზდში შევედი და იქინეც ფეხზედ ჩამოვწტი. ჩავაწიე თფილისში, მივედი რაცხა დეზერტვირების ბაზარი ყოფილა. მივედი, რა ვნახე!!!.. ვინ არ ვნახე, რა არ ვნახე იქინე: თელიგურია სამ გრილოს და იმერეთის დელეყანტი ბიჭები აქ იყო.

აი, მდევივით ბიჭები უწინ გლახათ რუმ ვერ მიელაპარიკებოდი, დაქურუჟებოდენ თავზე ზოგი დაკლულ ბატს, ზოგი ინდოურებს, ზოგი ქათმებს, ზოგი ფქვილს, ხილს, გავჩერდი მეც ერთ ადგილზე, ამევიღე ჩემი ქათმები, მარა რა დამჩა: ორი ქათამი, ბატი და კვატები, ყველი ისე დაჭენეხილიყო, რომ ერთმანეთში გადადუღებული გეგონებოდა, კაცმა არ მოკიდა ხელი. დევიწყვე წინ ტომარაზე ქათმები, კვატები, ბატები დაფშვნილი ყველები, კაი ორი დღეი ვადექი თავზე ქირისუფალსავით ამ უბედურობა სიცივეში, მინდოდა ძვირად გემეყიდა ემენაზლაურებია ზარალი, მარა რომ ჩამოვწტი ძაან ფეხზე და სიცივემც მომიჭირა, მივაყიდე ზედ, და შევედი სამიკიტნოში, ვიფიქრე, ერთს მაინც გამოვძღები მეთქი. გამოძღომით ქე გამოვძეხი, მარა დამიჯდა ოთუსბირად. დამჩა ერთი ორასი მანათი, გევიარ-გამევარე, ახლა ჩვენი ბიჭები ვნახე, გაუკვირდენ ჩემი ნახვა, დამიწყეს ქირდვა-სიცილი, ბიჭო ბეჟუკა, რა შენი ჭკუის საქმეა ფეხზე ვაჭრობაო.

დამანებეთ თავი, ქე ვხედავ ჩემს სიკეთეს, თქვენ ნუღარ მტკლეცთ გულზე თვარა ვინცხას რაცხა საშინელს გიზამ.

რაღას ვიზამდი, იმ დღეს იგი ორასი მანათი ჩაის დალევაში და ღამის გათევაში მივაფშვენი.., დავრჩი უკაპეიკოთ... ჩევიცვი ქალამნები, გადვიკიდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკლავზე ჩემი მესტები, ევიარ-ჩამევიარე ერთი დეზერტვირების ბაზარში და ხელათ მივაყიდე სამას მანათად.. ახლა რავქნა, სათ წევიდე არ ვიცი, წავალ შინ, მარა რაფერ წევიდე სირცხვილით? ან კი მიმიშობს სახლში ჩემი როკაპი კელასიე? სახში ვერ მივალ და იგია. . არა!... რეიზა არ მომცა ღმერთმა მე რამეის შნოი? ფეხი რეიზა არ მომტყდა მე რომ ფეხზე ვაჭრობა დევიწყე?

ლუკაიეს ობოლი.

სამტრედია.

I

ამბობენ: დღეს ჩვენში აი რა ხდებაო,
ქალაქი თანდათან უკანა დგებაო.
მცხოვრებნი ტალახში იღრჩვება, კვდებაო,
შემწყალე ხელი კი არსიდან ჩნდებაო.
შრომა და სიცოცხლე დღითი-დღე ჰქრებაო,
ბოღმა და ნაღველი გულში არ ცხრებაო.
ქალაქი მწუხარებს და ცრემლათ დნებაო—
რა წყალში ჩავვარდეთ—რა გვეშველებაო.

II

ამბობენ: გვქონდა მუშათა კლუბიო,
მაგრამ შიგ ვერ მოვსპეთ დავა და ჩხუბიო.
კვლავ მიდის ძველი გზით ძველებურ წესითო
და ძველებურათვე ვართ ტანჯვა კვნესითო.
მართლაც, ჯერ პიესა მის შესაფერიო
და სცენის-მოყვარეც გულანაძგერიო,
ჩვენ იქ არ გვინახავს... მუშებიც ცდებაო
და ხელში ნაყოფი აღარა გვრჩებაო.
დღეს გამგეს კლუბისას ვთხოვთ გაღვიძებასო.
იწამოს ღმერთი ნუ შეგვყვრის სნებასო.
ნუ დაგვისახიჩრებს გემოს და გრძნობასო
და სამაგიეროთ ვუცხონებთ მშობლებსო.

ჭაგნელი ბზიკი.

ბინის პატრონის ქალი.

(შარჟი ერთ მოქმედებათ).

ძღვნათ მიტოს.

მომქმედნი პირნი:

ვახტანგ გაბრიელიძე } სტუდენტები
სანდრო }

ოლიმპიადა ივანოვნა, ბინის პატრონის ქალი.

დაშა, მოსამსახურე.

მოქმედება საწრმოებს რუსეთის ერთ-ერთ საუნივერსიტეტო ქალაქში

ვახტანგის ოთახი.

ა.

ოლიმპიადა ივანოვნა. კავკასიელია?

დაშა (დიმილით) დიახ, ქალიშვილო.

ოლიმპიადა ივ. ქართველია, თუ სომეხი?

დაშა. ქართველია, ქალიშვილო.

ოლიმპიადა ივ. ძალიან შავია?

დაშა. არც ისე...

ოლიმპიადა ივ. თვალები ხომ ძალიან შავი აქვს?

დაშა. ძალიან, ძალიან ქალიშვილო!

ოლიმპიადა ივ. დაშა, შენ არ მოგწონს შავთვალებიანი ყმაწვილი კაცი?

დაშა. (გაწითლდება, თავს დახრის და... იღიმება)

ოლიმპიადა ივ. მიპასუხე! რისა გრცხვენია? ხომ მოგწონს, ა?..

დაშა. კი... (სიცილი წასკდება)

ოლიმპიადა ივ. მეც, დაშა! (პატარა პაუზა)

დაშა. ჩვენი სტუდენტი, ქალიშვილო, ძალიან თავაზიანი ყმაწვილია... გუშინ საღამოს... (იცინის).

ოლიმპიადა ივ. ჰო, რა მოხდა გუშინ საღამოს?

დაშა არაფერი... ჩაი შემოვუტანე... და ისევ გავედი მეტი არაფერი...

ოლიმპიადა ივ. მატყუილებ!..

დაშა. (იღიმება)

ოლიმპიადა ივ. ალბათ გაგეარშიყა. ხომ მართალს ვამბობ? მითხარი, ხომ მართალს ვამბობ?.. ხომ გაგეარშიყა?..

დაშა. (ერთბაშათ) მიბწკინა (იცინის).

ოლიმპიადა. ივ. მეტი არაფერი! არ გაკოცნია? არა, უსათუოთ გაკოცებდა! ხომ გაკოცა? მითხარი ხომ გაკოცა?.. (მუდარით) ჩემო დაშა, მითხარი მართალი მითხარი... ხომ გაკოცა?.. შუბლზე თუ ლოყაზე, ა?

დაშა. (იღრიჭება) ლოყაზე, ქალიშვილო!

ოლიმპიადა ივ აი შენ, ეშმაკო, შენა! (ლოყას უსინჯავს) უკბენია კიდეც! ხომ მართალს ვამბობ? აი აქა! ხომ გიკბინა?. ძალიან მაგრათ?

დაშა. არა, ძალიან მაგრათ არა.

(ფეხის ხმა მოისმის).

დაშა. სტუდენტი მოდის ქალიშვილო!

ოლიმპიადა ივ. ასე მოულოდნელათ! როგორ გავიდე! ღმერთო ჩემო! (შემოდის ვახტანგ)

ბ.

ვახტ. (კარებიდან) ვისთანა მაქვს ბედნიერება?..

ოლიმპიადა ივ. მე ბინის პატრონის ქალი გახლავართ! თქვენი მოქმედებით მეტის მეტათ აღელვებული ვარ!.. მე სახლში არ ვყოფილვარ.. აი ეხლა ჩამოვედი სოფლიდან... მე ყველაფერი ვიცი! დაშამ დაწვრილებით მიამბო ყველაფერი...

დაშა. მე, ქალიშვილო...

ოლიმპიადა ივ. გარეთ!

დაშა. ქალ..ი

ოლიმპიადა ივ. გარეთ მეთქი! (ხელს მოჰკიდებს და გააგდებს).

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

,,დიახ, ჩვენ გავსჭერით ფანჯარა ევროპისაკენ!“
(ლენინის სიტყვიდან)

ლენინი. (**პეტრე დიდს**) აქ უყურე, ძია, როგორი სარკმელი გავსჭერი ევროპისაკენ? ერთი ბოლ'შევიკური წიხლი და... სარკმელიც მზად არის! მაშ არ დაიკვეხო, თითქოს შენ გაგეჭრას ეგ სარკმელი!

ფოსტა.

სარდალს. (სად. გომში) მოწყალეო ხელმწიფევ! რამდენ ქალიშვილს კომისარი გამოედევნება და რკინის გზაზე დაამტვრევს, თუ ყველა ამის შესახებ ჩვენ ვწერეთ კარგათ კი წავა ჟურნალის საქმე.

პარ. ჯიქთუბნელს. თქვენი საუცხოვო გამოცანიდან ვბეჭდავთ მხოლოდ ორ ტაეპს.

„რადგან ბიურო შენ აიგდე,
და პირს აჩენ, როგორც ღლავი...

გეცხადება საბოლოოთ,
ჯარიმები ქართულ კლუბში.
შენს ბიუჯეტს ვერ შეარყევს
ვერც სადილი, ვერც ვახშამი..
თუ ამაზედაც ვარს იტყვი.
გაგერიოს ძმაო ჟამი.

რასაკვირველია დანარჩენებსაც დავბეჭდავდით, რომ ვიცოდეთ ვის, ან რას ეხება იგი.

ზაგრანიცელს. წავიკითხეთ თქვენი წერილი „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს.“

წარმოიდგინეთ, ჩვენ ფიცი არა გვწამს, მაგრამ თქვენი წერილი ძლიერ გვაკვირვებს.

სახელმწიფო სტამბა.